# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 591191525

N 109
23/02/2018

109-07-3-201802231228

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 22 თებერვალს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №5- 3 ( სამი) ფურცელი

დასკვნა №5- 2 ( ორი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი ჩახვაძე

კომისიის თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №5

ქ.ლანჩხუთი 22.02. 2018 წელი

**სხდომას ესწრებოდა:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

**კომისიის წევრები:** კარლო კვიტაიშვილი, ზაალ სანაძე, ზაზა წულაძე, ზურაბ კუკულავა, ალექსანდრე მახათაძე, ირაკლი მარშანიშვილი.

**მოწვეული:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატი: თორნიკე ტიკაძე, ოთარ პატიეშვილი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ გააკეთა განმარტება,რომ კომისიას დამატებით საკითხად დაეწერა აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებთა ერთობლივი განცხადება. ასევე აღნიშნა, რომ დღის წესრიგში შევიდა ცვლილება და მესამე საკითხი ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ამოღებული იქნა წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტიდან.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ სხდომას გააცნო შეცვლილი დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე 2792.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 471,10 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.09.50.282) განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

3.
**დამატებითი საკითხი:** აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებთა ერთობლივი განცხადების განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

4.სხვადსხვა.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** კენჭი უყარა შეცვლილი დღის წესრიგის პროექტს.
**მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე 2792.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 471,10 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.09.50.282) განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა მამუკა ვადაჭკორიამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით, გააჩნია ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში №27. 09. 50.282 კოდზე არსებული ყოფილი გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, რომელმაც ხანძრის შედეგად დაკარგა თავისი ფუნქციური დანიშნულება, რასაც ადასტურებს მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ, შედგენილი უძრავი ქონების ადგილზე დათვალიერების აქტი. მისი განმარტებით ზემოაღნიშნული ქონების განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ის გაზრდის მუნიციპალიტეტის შემოსავლებს.
**კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:**
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
**მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა მამუკა ვადაჭკორიამ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიას, საჯარო სამართლის იურიდიული პირი-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროექტის ,,საჯარო ბიბლიოთეკები ადგილობრივი განვითარებისათვის - ფაზა 2-ის ფარგლებში,სააგენტოს თავმჯდომარის მ/შემსრულებლის სოსო გიორგაძის 2017 წლის 2 თებერვლის №88/ს ბრძანების საფუძველზე, გადმოეცა კომპიუტერების კომპქლექტები. (ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 8245,98 ლარი). ზემოაღნიშნული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის"(ს/ნ 233731478) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან აიპის აღნიშნული უძრავი ქონება ესაჭიროება მის დაქვემდებარებაში არსებული ცენტრალური ბიბლიოთეკისთვის-პროექტი ინტერნეტი და კომპიუტერი ყველა სოფელს, ბიბლიოთეკის განვითარების მიზნით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
**მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მესამე დამატებითი საკითხი** აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებთა ერთობლივი განცხადება სხდომას გააცნო კომისიის თამჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ. მან აღნიშნა,რომ სოფლის ცენტრში დგას მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ავარიული შენობა, რომელიც ადრე იყო საერთო საცხოვრებელი. შენობა დანგრევის პირასაა და საფრთხეს უქმნის ადამიანებს (ბავშვებს), ვინაიდან სკოლასთან ახლოს მდებარეობს. რამოდენიმე თვის წინ მოხდა ტრაგედია, ჩამოინგრა კედელი და შიგნით მყოფი ადამიანი გარდაიცვალა.ამიტომ მსგავსი შემთხვევის თავიდან აცილების

მიზნით ადგილობრივი მაცხოვრებლები შენობის დემონტაჟს ითხოვს.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
მოხდეს აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე აღნიშნული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი.
მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა
და ბუნებრივი რესურსების საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №5

22. 02. 2018 წელი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 22 თებერვალს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე 2792.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 471,10 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.09.50.282) განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

3.
**დამატებითი საკითხი:** აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებთა ერთობლივი განცხადების განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

**დღის წესრიგის პირველი საკითხი** ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე 2792.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 471,10 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.09.50.282) განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
**მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი** ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე დამატებულ საკითხზე აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებთა ერთობლივ განცხადებაზე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
მოხდეს აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე აღნიშნული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი.

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების
მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ჩახვაძე

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი**

22.02. 2018 წელი
11:00 საათი

| | სახელი, გვარი | გამოცხადების დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | გიორგი ჩახვაძე | $11^{00}$ | |
| 2 | ზაზა წულაძე | $11^{00}$ | |
| 3 | კარლო კვიტაიშვილი | $11^{00}$ | |
| 4 | ალექსანდრე მახათაძე | $11^{00}$ | |
| 5 | ზაალ სანაძე | $11^{00}$ | |
| 6 | თორნიკე ტიკაძე | | |
| 7 | ოთარ პატიეშვილი | | |
| 8 | ზურაბ კუკულავა | $11^{00}$ | |
| 9 | ირაკლი მარშანიშვილი | $11^{00}$ | |